საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION

+995 032 00 10 00
info@ag.ge
www.ag.ge

N გ-4091
07/12/2022

4091-გ-2-202212071735

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“

კერძო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის

უფროსს ქალბატონ ლია ხუციშვილს

ქალბატონო ლია,

შპს „საქართველოს მელიორაციაში“ შემოსულია სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 18.11.2022წ. N5/64834 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ წინწყაროში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 84.10.38.000.046 და ს/კ 84.10.38.000.017) ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მოწყობის პროექტის განხორციელების მიზნით გარემოსდაცვითი ნებართვის მოსაპოვებლად სახელმწიფოს მხრიდან თანხმობის გაცემის შესახებ.

გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“ მიეცა თანხმობა შპს „საქართველოს მელიორაციის“ 08.06.2022წ. Nგ-1633 წერილით, ჩვენი კომპანიის კუთვნილი მილების გადაკვეთაზე, გზის მოწყობის სამუშაოების წარმოდგენილი პროექტის მიხედვით. აქვე გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 84.10.38.000.046 და ს/კ 84.10.38.000.017) და მათ მიმდებარედ შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებად რეგისტრირებული სხვა ქონება არ მდებარეობს.

პატივისცემით,

გიორგი ხუბუა

ექსპლუატაციის დირექტორი